


საგამოცდო ტესტის ნიმუში

V კლასი (მათემატიკა)


1. ჩაწერე 4 მილიონ 11 ათასის წინა ნატურალური რიცხვი.
2. პირველი შესაკრები გაზარდეს 411-ით, ხოლო მეორე შეამცირეს 59-ით. გაიზრდება თუ შემცირდება ჯამი? რამდენით?
3. იპოვე ორნიშნა რიცხვი, რომლის ციფრთა ჯამი 13-ის ტოლია და იყოფა 19-ზე.
4. დაადგინე კანონზომიერება და ჩასვი გამოტოვებული რიცხვები. (2ქულა)
5, 29, 53, , 101, , 149.
5. რამდენი სამკუთხედი, წრფე, სხივი, მონაკვეთი, და კუთხეა(მახვილი,ბლაგვი და მართი) გამოსახული შემდეგ ნახაზზე? (2ქულა)



საგამოცდო ტესტის ნიმუში

VI კლასი (მათემატიკა)


1. ჩაწერე 4 მილიარდ 11 ათასის წინა ნატურალური რიცხვი.
2. საკლები შეამცირეს 23-ით, ხოლო მაკლები გაზარდეს 17-ით. გაიზრდება თუ შემცირდება სხვაობა? რამდენით?
3. ორი რიცხვის განაყოფი 1-ის ტოლია, ხოლო ჯამი 2002-ის. იპოვე ეს რიცხვები.
4. დაადგინე კანონზომიერება და იპოვე მიმდევრობის შემდეგი 2 წევრი.
1, 7, 8, 15, 23, 38, ...
5. რამდენი სამკუთხედი, წრფე, სხივი, მონაკვეთი და კუთხეა (მახვილი, ბლაგვი და მართი) გამოსახული შემდეგ ნახაზზე?



საგამოცდო ტესტის ნიმუში

VII კლასი (მათემატიკა)


1. ჩაწერე 4 მილიარდ 3 ათასის წინა ნატურალური რიცხვი.
2. გამოთვალე: $6,7 - 1\frac{2}{5} : 2\frac{1}{3}$ (2ქულა)
3. იპოვე 91-ისა და 78-ის უდიდესი საერთო გამყოფი და უმცირესი ჯერადი.
4. ამოხსენი განტოლება : $42 : x + 2011,5 = 2012$
5. რამდენი სამკუთხედი, წრფე, სხივი მონაკვეთი და კუთხეა (მახვილი, ბლაგვი და მართი) გამოსახული შემდეგ ნახაზზე?



საგამოცდო ტესტის ნიმუში

VIII კლასი (მათემატიკა)


1. ცოლი და ქმარი ხმის მისაცემად საარჩევნო უბანზე მივიდნენ. ამომრჩეველთა სიაში ჯერ ქმრის გვარი და სახელი ეწერა, შემდეგ-ცოლის. ცოლი სიაში 1200-ე იყო. მერამდენე იქნებოდა სიაში ქმარი?
2. გამოთვალე $8,7 - 1\frac{3}{5} : 1\frac{1}{7}$
3. ამოხსენი განტოლება $2012:(x+11)=5,03$
4. მართკუთხედის პერიმეტრია 40 მ. იპოვე მისი ფართობი, თუ მისი სიგრძე სიგანეზე 12 მ-ით მეტია.
5. რამდენი მართკუთხედი, წრფე, სხივი, მონაკვეთი და კუთხეა (მახვილი,ბლაგვი და მართი) გამოსახული შემდეგ ნახაზზე?



საგამოცდო ტესტის ნიმუში

IX კლასი (მათემატიკა)


1. ჩაწერე 23 მილიარდ 4 მილიონის წინა ნატურალური რიცხვი.
2. გამოთვალე: $8,9 - 2\frac{1}{4} : 1\frac{4}{5}$ (2 ქულა)
3. ამოხსენი განტოლება: $20,12 : (2x + 22) = 0,4$
4. მართკუთხედის სიგრძე 8-ჯერ მეტია სიგანეზე იპოვე მისი დიაგონალი, თუ პერიმეტრი 54 სმ-ია.
5. რამდენი სამკუთხედი, წრფე, სხივი, მონაკვეთი და კუთხეა (მახვილი, ბლაგვი და მართი) გამოსახული შემდეგ ნახაზზე.



საგამოცდო ტესტის ნიმუში

X კლასი (მათემატიკა)


1. ჩაწერე 4 ტრილიონ 3 მილიონის წინა ნატურალური რიცხვი.
2. გამოთვალე $9,1 - 1\frac{3}{8} : 2\frac{1}{5}$
3. ამოხსენით განტოლება: $2,012 : (2X - 3) = 0,503$
4. იპოვე კვადრატის პერიმეტრი თუ მისი ფართობი $2,89 \text{ სმ}^2$ -ია.
5. რამდენი სამკუთხედი, წრფე, სხივი, მონაკვეთი და კუთხეა (მახვილი, ბლაგვი და მართი) გამოსახული შემდეგ ნახაზზე?



საგამოცდო ტესტის ნიმუში

XI კლასი (მათემატიკა)

1. ჩაწერე 18 ტრილიონ 28 მილიონ 6 ათასის წინა ნატურალური რიცხვი.
2. გამოთვალე: $11.1 - 3\frac{1}{8} : 4\frac{1}{6}$
3. ამოხსენი განტოლება: $11x^2 - 120x - 11 = 0$
4. სამკუთხედის წვეროებია: A(4;1), B(-1;3), C(0;-2). იპოვეთ ამ სამკუთხედის პერიმეტრი და ფართობი .
5. რამდენი სამკუთხედი , წრფე, სხივი, მონაკვეთი და კუთხეა (მახვილი,ბლაგვი და მართი) გამოსახული ნახაზზე?



საგამოცდო ტესტის ნიმუში

VII კლასი (ფიზიკა)

- 1) ორი ქალაქიდან ერთმანეთისაკენ ერთდროულად გამოვიდა ორი ავტომობილი, ერთის სიჩქარეა 60 კმ/სთ, მეორის 1,5-ჯერ მეტი. 3 საათის შემდეგ ავტომობილებს შორის 30 მ იყო დარჩენილი. იპოვეთ მანძილი ქალაქებს შორის.
- 2) ისრით მიუთითეთ შესაბამისობა ფიზიკურ სიდიდეებსა და მის შესაბამის ერთეულებს შორის:

სიგრძე	ლიტრი
მასა	წუთი
ფართობი	კილომეტრი
დრო	კილოგრამი
მოცულობა	ჰექტარი
- 3) ორი ქალაქიდან ერთმანეთის შესახვედრად ორი მატარებელი ერთდროულად გამოვიდა. ამ ქალაქებს შორის მანძილს ერთი მატარებელი 2 სთ-ში გადის, მეორე 4-ში. მთელი გზის რა ნაწილს შეადგენს მატარებლის გამოსვლიდან 1 სთ.-ის შემდეგ მათ შორის დარჩენილი მანძილი?
- 4) დედამიწიდან მთვარემდე საშუალო მანძილი -384000 კმ რამდენჯერ მეტია დედამიწის საშუალო რადიუსზე 6400კმ-ზე?
- 5) კუბის გვერდი 20 სმ-ია. გამოთვალეთ კუბის მოცულობა კუბურ მეტრებსა და ლიტრებში.

საგამოცდო ტესტის ნიმუში

VIII კლასი (ფიზიკა)

- 1) თუნუქის ფურცლის სიგრძე 1,5 მ-ია, სიგანე—8 0 სმ. განსაზღვრეთ ფურცლის ზედაპირის ფართობი.
- 2) ფეხბურთის ბურთის მასა 430 გ-ია.გამოსახეთ იგი მილიგრამით, კილოგრამით და ტონით.
- 3) ატმოსფერული ჰაერის 1 სმ³ მოცულობა $27 \cdot 10^{18}$ მოლეკულას შეიცავს. რამდენი მოლეკულა იქნება ოთახის ჰაერში, თუ ოთახის ზომებია 4მX4,5მX3მ?
- 4) მზის გარშემო დედამიწის ბრუნვის პერიოდი რამდენჯერ მეტია ღერძის გარშემო ბრუნვის პერიოდზე?
- 5) მოიფიქრეთ და აღწერეთ, როგორ განსაზღვრავთ ერთი წვეთი წყლის მოცულობას?

საგამოცდო ტესტის ნიმუში

IX კლასი (ფიზიკა)

- 1) მდინარეში წყალი ნაპირთან და ფსკერთან უფრო ნელა მოძრაობს, ვიდრე შუაში. რატომ?
- 2) წელიან კასრს, წელის ზედაპირიდან 60 სმ სიღრმეზე აქვს 2 სმ² ხვრელი, რომელიც დახურულია საცობით. რას უდრის წნევის ძალა საცობზე?
- 3) განსაზღვრეთ სპილენძის ფურცელზე მოქმედი სიმძიმის ძალა, თუ მისი სიგრძეა 1,5 მ, სიგანე 0,5-მ, სიმაღლე-1მმ. სპილენძის სიმკვრივეა 8900 კგ/მ³.
- 4) რა სიმკვრივისაა სითხე, რომლის 50 ლიტრის მასა 25 კგ-ია?
- 5) სითხეში ჩაძირვისას სხეულის მიერ გამოდევნილი სითხის მასა 250 გ-ია. რას უდრის სხეულზე მოქმედი ამომგდები ძალა?

საგამოცდო ტესტის ნიმუში

X კლასი (ფიზიკა)

- 1) განსაზღვრეთ რომელი ატომის ბირთვის მუხტია $1,28 \times 10^{-17}$ კ.
- 2) რა ღრის განმავლობაში უნდა მუშაობდეს 40 კვტ სიმძლავრის ტუმბო, რომ 80 მ სიმაღლის შახტიდან ამოტუმბოს 200 მ³ მოცულობის წყალი?
- 3) რა სიმძლავრეს განავითარებს ტრაქტორი 3,6 კმ/სთ მუდმივი სიჩქარით მოძრაობისას, თუ მისი წევის ძალა 10 კნ-ია?
- 4) რა სითბოს რაოდენობა უნდა გადავცეთ 2 ლ წყალს 20 °C- დან 80°C -მდე გასათბობად? (წყლის კუთრი სითბოტევადობა $C = 4200$ ჯ/კგ °C)
- 5) 3 მ სიმაღლიდან ვარდება 2 კგ მასის საწონი. როგორ შეიცვლება მისი შინაგანი ენერგია დედამიწის ზედაპირზე დაცემისას? ენერგიის დანაკარგს ნუ გაითვალისწინებთ.

საგამოცდო ტესტის ნიმუში

XI კლასი (ფიზიკა)

- 1) ორი დრუბლის ელექტრული მუხტი შესაბამისად 20 და 30 კულონია. საშუალო მანძილი მათ შორის 30 კმ-ის ტოლია. რა ძალით ურთიერთქმედებენ დრუბლები?
- 2) ელექტროქურა, რომელშიც დენი 5 ამპერია, 10 წუთის განმავლობაში 600 კჯ ენერგიას მოიხმარს. განსაზღვრეთ ქურის წინააღობა.
- 3) გამოთვალეთ ქანქარას რხევის პერიოდი, სიხშირე და ციკლური სიხშირე, თუ იგი 15 წამში 10 რხევას ასრულებს.
- 4) 2 ა დენისას მონიკელება 50 წთ-ს გაგრძელდა. განსაზღვრეთ ნაკეთობაზე გამოყოფილი ნიკელის მასა. ($K=0,3 \times 10^{-6}$ კგ/კ)
- 5) ერთსა და იმავე დროში ერთი მათემატიკური ქანქარა ასრულებს 50 რხევას, მეორე კი 30-ს. იპოვეთ მათი სიგრძეები, თუ ერთი მათგანი 32 სმ-ით მოკლეა მეორეზე.